პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 223 (9634) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩირაღდანი ნიუფაუნდლენდში ჩავიდა

სენტ-ჯონსი, კანადის ერთ-ერთი პროვინციის — ნიუფაუნდლენდის დედაქალაქი ამ დღეებში მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. აქ სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყვეს საბერძნეთში დანთებულ ოლიმპიურ ჩირაღდანს, რომელიც გაივლის მთელს კანადას და ბოლოს ზამთრის ოლიმპიადის ქალაქ კალგარის ეწვევა.

ქალაქის ცხოვრებაში ეს მართლაც საგანგებო მოვლენა იყო. ჩირაღდანს ნიუფაუნდლენდის მიწაზე ბევრი უცხოელი და ადგილობრივი კორესპონდენტი შეხვდა. სენტ-ჯონსში სპეციალურად ჩამოფრინდნენ კანადის პრემიერ მინისტრი ბრაიან მალრუნი, ნიუფაუნდლენდის პრემიერი ბრაიან პეკფორდი, კანადის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს შორის. რა მოგვიტანა წლევანდელმა სეზონმა? (იხ. მე-3 გვ.).

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი

კვლავ ერთპიროვნულად

თხუთმეტი ტურის შემდეგ ნანა იოსელიანმა კვლავ დაიბრუნა ერთპიროვნული ლიდერობა. ამ დღეს იგი კიეველ ლიდია სემიონოვას ხვდებოდა, რომელთანაც „ძველი ანგარიშები“ ჰქონდა გასასწორებელი. გახსოვთ, ალბათ, ოთხი წლის წინათ უკრაინელმა დიდოსტატმა პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხა ქართველი კოლეგა.

ამჯერად მეტოქეებმა სკანდინავიური დაცვა გაითამაშეს. იოსელიანმა უკეთესი პოზიცია მიიღო. სემიონოვას თითქმის გამოთთშული ჰყავდა თამაშიდან თეთრი ფერის კუ, ლაზიერი კი მე-8 ხაზზე იყო „ჩაკეტილი“. უიმედო მდგომარეობაში სემიონოვამ საათი გააჩერა. ამ გამარჯვებით ნანა იოსელიანმა ნახევარი ქულით გაუსწრო უახლოეს მდევრებს.

საინტერესო გამოდგა ნინო გურიელისა და ელენა ახმილოვსკაიას შეხვედრაც. მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. გურიელს უფრო პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა, მაგრამ პოზიციური შეცდომები დაუშვა და ახმილოვსკაიამ მდგომარეობა გამოასწორა — ორი კუს უპირატესობა მიიღო, ენდშპილში პაიკიც მოიგო, მაგრამ ნინო ზუსტად თამაშობდა და თეორიული ყაიმის გამო მეტოქეები დაზავდნენ.

ქეთევან არახამია შავი ფიგურებით ეთამაშებოდა გულნარა ხატოვას. დებიუტშივე ალმაათელი მოჭადრაკე ინიციატივას დაეუფლა. არახამია გაჭირვებით იცავდა თავს, იგი დიდხანს ფიქრობდა და ციტნოტს ვერ გადაურჩა. მაგრამ სახატოვამ ვერ მიაგნო საუკეთესო გაგრძელებას, დაიბნა, ფიგურა „დაუსვა“ მეტოქეს და დამარცხდა. ამრიგად, ახალგაზრდა ქართველმა დიდოსტატმა ბოლო 10 ტურში 9 ქულა მოაგროვა.

ციალა ქასოშვილს უკეთესი პოზიცია ჰქონდა ბაქოელ ოსტატ აინურ სოფიევასთან შეხვედრაში, მაგრამ იჩქარა, უპირატესობა ვერ გამოიყენა და დამარცხდა.

მარტა ლიტინსკაიასა და ალისა გალიამოვას ამ ტურის პარტია გადაიდო.

ამრიგად, 15 ტურის შემდეგ ნანა იოსელიანს 11 ქულა აქვს, ქეთევან არახამიასა და ელენა ახმილოვსკაიას — 10,5-10,5, ნინო გურიელსა და რაისა ეიდელსონს — 9-9, მარტა ლიტინსკაიასა და ზოია ლელჩუკს — 8-8 (1-1), სვეტლანა მატვეევას — 8.

თამარ ხუციშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ციტატა

„ფუტბოლ-ხოკეი“

გუშინ რედაქციაში მივიღეთ „ფუტბოლ-ხოკეის“ ახალი, 46-ე ნომერი, რომელშიაც ფართო ადგილი ეთმობა II ლიგის, კერძოდ, IX ზონის გუნდების საკითხს. არის თუ არა საჭირო ეს გუნდები და რას აძლევს იგი დიდ ფეხბურთს? ამ კითხვაზე ფეხბურთის სპეციალისტები დიამეტრულად განსხვავებულ პასუხს იძლევიან, მაგრამ უმეტესობას მაინც მიაჩნია, რომ II ლიგის გუნდები საჭიროა, ამიტომ მეტი ყურადღება და დახმარება უნდა ამ კოლექტივებს. და მაინც, ვინ იცის ყველაზე უკეთ, რა უჭირს და რა ულხინს, ან რა უფრო ესაჭიროება II ლიგის გუნდებს? რა თქმა უნდა, მწვრთნელებმა. და აი, „ფუტბოლ-ხოკეი“ იწყებს ამ თემაზე საუბარს მწვრთნელებთან. პირველი სიტყვა ეძლევა სოხუმის „დინამოს“ მწვრთნელს ანატოლი ნორაკიძეს.

ახლა კი ციტატა წერილიდან, რომლის სათაურია „პრობლემები, ძიება, გადაწყვეტილებები“:

„იმას, რომ სოხუმი საფეხბურთო ქალაქია, ამ თამაშის მოყვარულს ყველაზე ნათლად აქაურ მწვრთნელთა აღზრდილი მოთამაშეების ჩამოთვლა დაუდასტურებს: ა. ღოღობერიძე, ვ. მარღანია, ნ. სიმონიანი, ნ. ძიაპშიპა, ვ. სანაია, ა. ზაზროევი, გ. ბონდარენკო, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, რ. ძოძუაშვილი, ვ. დარასელია, ო. გაბელია, ა. ილიადი, ხ. ოვივიანი და ბევრი სხვა. სოხუმის „დინამოს“ გუნდის უფროსმა ი. გრამატიკოპულომ და მე, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ჩვენი გზა დიდ ფეხბურთში სწორედ აქ, ამ ზღვისპირა ქალაქში დავიწყეთ. თბილისის „დინამოს“ ამყამინდელ შემადგენლობაში ბევრი აფხაზეთის ფეხბურთიდან მოვიდა: გ. ცაავა, ხ. მალანია, ა. ცვეიბა, თ. ქეცბაია. ჩვენი დინამოელები, მწვრთნელ გ. იოლჩიდის აღსაზრდელები ხ. არუთინიანი და ი. გელენავა, რომლებიც ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობენ, ახლახან მსოფლიო ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ კანადიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი — ეკიმსკელი



კანბერა. ავსტრალიაში წარმატებით გამოდიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, მათ შორის მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ლაურეატები დმიტრი ბილოზერჩევი, ელენე შუშუნოვა და სხვები. შაბათს მათ ვარჯიშს ათასობით მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი რობერტ ხოუკი, მინისტრები და ფედერალური პარლამენტის წევრები. ტანვარჯიშის მოყვარულებმა ტაშით დაჯილდოვეს როგორც აღიარებული „ვარსკვლავების“, ისე ახალგაზრდა სპორტსმენების გამოსვლები. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად 19 წლის ალექსანდრე კოლივანოვს. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები მელბურნსა და ადელაიდაშიც გამოვლენ, მერე კი ახალ ზელანდიას ეწვევიან.

ლონგ-ბიჩი (აშშ). როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აშშ-ში ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო. მეხუთე შეხვედრა ჩვენს სპორტსმენებს კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდთან ჰქონდათ. პირველი ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 52:44. მაგრამ შეხვედრა დათმეს — 88:89. ეს ჩვენი ქალთა გუნდის პირველი მარცხია აშშ-ში.

პრაღა. როგორც ცნობილია, კაუნასის „ჟალგირისის“ რამდენიმე კალათბურთელი თან ახლავს საბჭოთა ნაკრებს აშშ-ს ტურნეში. „ჟალგირისმა“ მათ გარეშე მონაწილეობა მიიღო აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში და ფინალამდე მიაღწია. აი, გადამწყვეტი შეხვედრა კი წაგო, ადგილობრივ კლუბთან ნგკგ-სთან 75:77 (42:38).

მაპუტუ. კემეროვოს „კუზბასის“ ფეხბურთელებმა აქ საერთაშორისო ტურნირი მოიგეს. შემდეგ კი ამხანაგურ მატჩში მოზამბიკის ჩემპიონს „მაჩეჯეს“ შეხვდნენ. საბჭოთა ფეხბურთელებმა ეს ორთაბრძოლაც მოიგეს — 2:0.

გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი

გუშინ...

სევილიაში უნდა გამართულიყო ა. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის მეთხუთმეტე პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც ლიდერობს ანგარიშით 7,5:6,5 ტაიმ-აუტი აიღო. მატჩის რეგლამენტით მეთხუთმეტე პარტია გაიმართება პარასკევს, 20 ნოემბერს.

კვლავ რეკორდი



დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მძიმეწონოსანმა ძალოსანმა კობა ტალახაძემ საქართველოს რეკორდები გააუმჯობესა. და აი, შაბათ-კვირას რუსთავში გამართულ ღია პირველობაზე კობამ კვლავ წარმატებით იასპარეზა და თავისივე რეკორდი ატაცში — (180 კგ) ნახევარი კგ-ით გააუმჯობესა.

ვულოცავთ!

სპორტიდან ეზიარა გამარჯვებისკენ სწრაფვას. შალვა ლუხუტაშვილი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიდხანს იყო სპორტით გატაცებული. შემდეგ კი საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი გახდა, იმ გუნდისა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისთვის ემზადებოდა.

ლუკა იოაკიმიდიმ წაავლო ხელი, ზუსტად ისე, როგორც ადრე პეტრე მშვენიერაძეს, ნოდარ გვახარიასა და ბევრ სხვა შემდგომში სახელგანთქმულ სპორტსმენს. მწვრთნელები იჭერდნენ ხოლმე სანაპიროზე ძველ საცურაო აუზზე უბილეთოდ შემოპარულებს და ხანდახან ყურებსაც კარგად აუხურებდნენ.

აი, შალვა ლუხუტაშვილს კი მკაცრმა ლუკამ არჩევანი შესთავაზა! — კოშკიდან გადმოხტომა.

შალვა ლუხუტაშვილი, ახლანდელი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე დიდი სპორტსმენი არ გამხდარა, მაგრამ მაშინ კი უშიშრად გადმოხტა.

იგი კიდევ დიდხანს ხტებოდა წყალში, ომის დროსაც და ომის შემდეგაც. „სპორტი რომ არა, — ამბობს ახლა ბატონი შალვა, — არ ვიცი, ჩემგან რა კაცი დადგებოდაო“.

ახლა მის კაბინეტში ვზივართ, ჯაფარიძის ქუჩაზე და მე „ლელოს“ მკითხველების სახელით შალვა ლუხუტაშვილს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1987 წლის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მაღალი წოდების მინიჭებას ვულოცავ.

სოლოლაკში ვართ და ძველ, ომისშემდგომ დროს ვიხსენებთ. ბატონ შალვას ძალიან უნდა დამარწმუნოს, რომ არასდროს უოცნებია ჩემპიონობაზე, რომ თუმცა კი რამდენჯერმე მოუგია რესპუბლიკის პირველობა, მაგრამ ისე, შემთხვევით. იგი იმასაც მეუბნება, ჩემს ახალგაზრდობაში მაღალი სიმაღლეების დაპყრობაზე ნაკლებად ფიქრობდნენ, მეტწილად, უბრალოდ, თავისთვის მისდევდნენ სპორტსო.

მე კი არ მჯერა. ასე მგონია, რომ სწორედ მაშინ, ომის შემდეგ, ყველას ძალიან სურდა მშვიდობიანი გამარჯვებების მოპოვება, რომ რეკორდებს ისე ამყარებდნენ, როგორც უკანასკნელ ტყვიებს ისროდნენ დაღუპული მამებისა და ძმების მაგივრად. აი, რატომ მგონია, რომ ომისდროინდელ ბიჭებს სისხლში აქვთ გამარჯვებისაკენ სწრაფვა.

დიახ, სპორტი ასწავლიდა მათ არ შემდრკალიყვნენ, უკან არ დაეხიათ, არ დაეთმოთ. ასწავლიდა გამარჯვებას! შალვა ლუხუტაშვილი დიდხანს არ დარჩენილა სპორტში — ჯერ თვითონ იყო წყალში მხტომელი, მერე სხვებს ასწავლიდა. იგი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს წვრთნიდა, რომელმაც სსრკ ხალხთა II სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ სპეციალობით მუშაობდა წარმოებაში. მთავარი კი — გამარჯვებებისკენ სწრაფვა მაინც შერჩა.

თითქმის ათი წელი მუშაობდა შალვა ლუხუტაშვილი თანაავტორებთან მაღალხარისხოვანი პურსაცხობი საფუარების წარმოების მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის შემუშავებასა და სამრეწველო ათვისებაზე. ახალმა ტექნოლოგიამ, რომელიც 70-იან წლებში ნაწილობრივ დანერგილი იყო თბილისის საფუარის ქარხანაში ჭეშმარიტი გადატრიალება მოახდინა ამ დარგში და საწარმო ქვეყნის მოწინავე პოზიციებში გაიყვანა. მისი პროდუქცია კი მსოფლიო სტანდარტების დონემდე ამაღლდა.

1983 წლიდან მოყოლებული, როცა ტექნოლოგია დაიხვეწა და მთლიანად დაინერგა, ქარხანა უცვლელად ინარჩუნებს „რესპუბლიკის, დარგის, ქვეყნის საუკეთესოს“ წოდებას. ასე მოვიდა დიდი, ნანატრი გამარჯვება: შალვა აკაკის ძე ლუხუტაშვილი — ლაურეატი!

გილოცავთ, ბატონო შალვა!

პეპი ბოჰორიშვილი.

ფიზკულტურა და სპორტი: ფასიანი მომსახურება, რა და როგორ?

სამეურნეო ანგარიშზე

ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული ნაგებობების ეფექტური გამოყენებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გასაუმჯობესებლად ბევრი სიახლე დაინერგა: მომრავლდა ჯანმრთელობის ჯგუფები, გაქირავების პუნქტები, აღდგენითი ცენტრები და ა. შ. ახლახან კი, საქართველოს სპორტსახკომის, პროფსაბჭოს, განათლების სამინისტროსა და თბილისის „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით, გადაწყდა სპორტის ზოგიერთ სახეობაში სპორტსკოლებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე გადავიდეს. ამ სიახლესთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს სპორტსახკომის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განყოფილების გამგეს გივი ყირმელაშვილს.

— თითქოს ერთმანეთს ვერ უთავსდება ეს ორი რამ: სასპორტო სკოლა და ფასიანი მომსახურება, მაგრამ მოდით გავარკვიოთ რამ გამოიწვია ეს.

ეს ღონისძიება ექსპერიმენტის სახით ტარდება და თუ ეფექტს ძოგვცემს, თვითანაზღაურებაზე გადავა სპორტის ისეთი პოპულარული სახეობების მოსამზადებელი ჯგუფები, როგორიცაა ცურვა, ჩოგბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ციგურებით სრიალი, ძიუდო და ჭადრაკი. სპორტის ეს სახეობები დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ სექციებში ბავშვების ჩარიცხვაც მკაცრი შერჩევის საფუძველზე ხდება — მხედველობაში მიიღება ბავშვის ასაკი და მისი ფიზიკური მონაცემები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვი 7-ის ნაცვლად 7 წლის და 5 თვისაა, მას, როგორც ასაკგადაცილებულს, სპორტსკოლაში არ ჩარიცხავენ. თუ ასაკი ხელს უწყობს, მაგრამ შესარჩევ ნორმატივს ვერ ასრულებს, როგორც უპერსპექტივოს, არ მიიღებენ. ვინ მოთვლის რამდენი გულნატკენი ბავშვი და მშობელი მინახავს. კაცი სპორტში დავბერდი, მაგრამ 7-8 წლის ასაკის უპერსპექტივობაში ვერავინ დამარწმუნებს.

14 მოსამზადებელი ჯგუფი უნდა ჰყავდეს, ასე რომ, ჩასარიცხიც ბევრი იქნება და ასარჩევიც.

ყველა ჯგუფისთვის გათვალისწინებულია ერთი პროგრამა, რომელიც 3-წლიან ციკლს მოიცავს. წელიწადში ერთხელ საწვრთნელ ჯგუფებში ჩასარიცხად შეარჩევენ საუკეთესოებს, დანარჩენები კი ჩვეულებრივად გააგრძელებენ ვარჯიშს — ისწავლიან ცურვას, სირბილს, თამაშებს, ერთი სიტყვით, გაიუმჯობესებენ საერთო ფიზიკურ მომზადებას.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი. არსებული წესის თანახმად, ოლიმპიური რეზერვის სასპორტო სკოლას მოსამზადებელი ჯგუფები არ უნდა ჰყავდეს, აღნიშნული ექსპერიმენტი კი ამის უფლებას იძლევა. ესე იგი, სპორტს დამატებით კიდევ ათასობით მოზარდი ეზიარება.

◎ მატერიალურ დაინტერესებაზე რას გვეტყვით?

— რა დასამალია და მწვრთნელებს დამწყები ჯგუფების მეცადინეობისას უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე თანრიგოსნებთან მუშაობისთვის. ამიტომ ყველა ცდილობს დამწყებ ჯგუფებს თავი აარიდოს. მაგრამ ექსპერიმენტულ ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელებს ხელფასი მოემატებათ, რადგან ფასიანი ჯგუფების შემოსავალი მთლიანად სასპორტო სკოლის კეთილდღეობას მოხმარდება.

ამავე დროს საერთო შემოსავლის 2, ხოლო ჭარბი შემოსავლის 30 პროცენტი პრემიალურ ფონდში გადავა. ასე რომ, მწვრთნელების, სასპორტო სკოლების, სპორტული ნაგებობების მატერიალური დაინტერესება დიდი იქნება.

◎ ჯგუფებში ჩარიცხულნი თვეში რამდენ მანეთს გადაიხდიან?

— ჯერ დასადგენია, როგორი იქნება სპორტული სკოლისა და სპორტული ნაგებობის მიერ გაწეული ხარჯები. მხოლოდ ამის შემდეგ ცენტრალიზებული წესით დამზადდება აბონემენტები. ყოველ შემთხვევაში, თვეში გადასახადი იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ეკკვის წრეებშია. აქვე გვინდა გავმარტოთ, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, საწარმო-დაწესებულებების პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან მრავალშვილიან ხელმოკლე ოჯახებს უფასოდ ან შეღავათიან ფასებში მისცენ აბონემენტები. ამის უფლება სასპორტო სკოლების ხელმძღვანელებსაც ექნებათ.

ეს ამ წამოწყების ერთი მხარე გახლავთ, ახლა მოდით, მისი ავკარგი ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით განვიხილოთ. თუ ფულს გადავიხდი, ვეცდები მეცადინეობა არ გავაცდინო და მომსახურებაც მოვითხოვო. თუ ადრე შხაპის მიუღებლად წამოვიდოდი ვარჯიშიდან, ახლა მომსახურე პერსონალს დაუდევრობას აღარ მოვუთმენ. ასე რომ, სასპორტო სკოლა ეცდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც კარგი ჰქონდეს და კვალიფიცირებული მწვრთნელებიც ჰყავდეს. ერთი სიტყვით, ორივე მხარე დაინტერესდება.

◎ რომელი სასპორტო სკოლები გადავლენ ექსპერიმენტზე?

— ეს პუნქტი დადგენილებაში საგანგებოდ არის გამოკვეთილი. ექსპერიმენტში მონაწილეობის უფლება ექნება იმ სასპორტო სკოლას, რომელსაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც შესაფერისი ექნება და კვალიფიციური სპეციალისტებიც ეყოლება. ასეთი სკოლების შერჩევა, მათდამი დახმარება და კონტროლი დაევალა სპორტსახკომის, საქართველოს პროფსაბჭოს, განათლების სამინისტროსა და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს შესაბამის განყოფილებებსა და მთავარ მწვრთნელებს. თუ ადრე მოსამზადებელი ჯგუფების საქმიანობით დიდად არავინ იყო დაინტერესებული, ახლა ყველა სასპორტო სკოლა ეცდება ექსპერიმენტში მონაწილეობის უფლება მოიპოვოს.

◎ უმცროსი ასაკის ბავშვებთან მუშაობაში გარკვეული ძვრები იგრძნობა, სკოლამდელებთან როგორღაა საქმე?

— ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, არსებობს სკოლამდელების ფიზიკური აღზრდის ერთიანი საკავშირო პროგრამა. დღის რეჟიმში შეტანილია მეცადინეობები, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით სახარბიელო არ არის.

არასრულყოფილ პროგრამებზე რომ არაფერი ვთქვათ, სკოლამდელ დაწესებულებებში არ გვყავს ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები. ამას დაუმატეთ არასტანდარტული შენობა-ნაგებობები, სპორტული მოედნების და სპორტდარბაზების გარეშე, აღმზრდელთა ასაკი და სურათი დასრულდება.

კატასტროფულად მატულობს ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა რიცხვი. სქოლიოზი, ბრტყელტერფიანობა და მოჭარბებული წონა სკოლამდელ ბავშვებში ჩვეულებრივი მოვლენაა. არის თუ არა გამოსავალი? საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული 15 გოგონა უკვე გაიგზავნა ბაგა-ბაღებში. სისტემატურად ეწყობა პედაგოგ-აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია. ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. რომელი მშობელი იტყვის უარს იმაზე, რომ მისი შვილი გამოცდილმა სპეციალისტმა საბავშვო ბაღში ავარჯიშოს, გააჯანსაღოს და გაკაჟოს? ვინ დაიშურებს ამისთვის 3-4 მანეთს. შემოსული თანხის ნაწილი საბავშვო ბაღს დარჩება ისევ ბაღის კეთილმოსაწყობად. ვიმედოვნებ, ამ იდეას გამხორციელებლები გამოუჩნდებიან, დიახ, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების ბაგა-ბაღებში მოზიდვას ყოველ მხრივ უნდა შევუწყოთ ხელი.

◎ ეს რაც შეეხება ბავშვებს, მოზრდილებზე რას გვეტყვით?

— თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, საქმე არც თუ ისე ცუდადაა. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე 1 მანეთი და 36 კაპიკი მოდიოდა. ეს კავშირის მასშტაბით

ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 50 კაპიკია). მაგრამ როდესაც ღრმად ჩავუკვირდით, გამოირკვა, რომ უშუალოდ ჯანმრთელობის ჯგუფებზე მთელი შემოსავლის მხოლოდ 9,2 პროცენტი, დანარჩენი კი — სპორტული სანახაობით ღონისძიებებზე მოდის. მართალია, ეს მაჩვენებელი 9 თვის შედეგების მიხედვით 13 პროცენტამდე გაიზარდა, მაგრამ არც ეს კმარა.

ახლახან ნიუ-იორკის ტრადიციული მარათონის ვიდეოჩანაწერი ვნახე: დიქტორმა გულისტკივილით გვამცნო, ხანგრძლივი უამინდობის გამო მარათონის სტარტზე (42 კმ. 195 მ.) მხოლოდ 22 ათას ორასი ქალი და კაცი გამოცხადდაო. მინდოდა წარმომედგინა თუნდაც 30 თბილისელი, ვინც სირბილით მცხეთაში ჩავიდოდა და უკან დაბრუნდებოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სამაგიეროდ გამახსენდა ჩვენი ხელოვნურად შეკოწიწებული ღონისძიებები: მორბენლის, მოცურავის, ფეხბურთელის, მოჭიდავის, ჯანმრთელობის დღეები, რომელთაც დრამოჭმულ რეკლამას ვუკეთებთ.

მარათონული დისტანციის დაძლევას, რასაკვირველია, ყველას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ მოძრაობა, ვარჯიში ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს. მართალია, ძნელია წლების განმავლობაში შექმნილი სტერეოტიპის დაძლევა, მეშჩანურ კომფორტზე უარის თქმა, მაგრამ თუ გვინდა დიდხანს ვიცოცხლოთ და ჯანსაღნი ვიყოთ, ასე უნდა მოვიქცეთ.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, ჩვენი პასუხობა იმის ბრალია, რომ არა გვაქვს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, არ გვყოფნის კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრები. არც მასობრივ ღონისძიებათა პროპაგანდა, რეკლამა და მომსახურების კულტურა შეეფერება დღევანდელობას. ასე რომ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

... სპორტ...

იგო თუ ...ბრა წლევანდელ ...ზონში ისეთი სიურპრიზები, რ...გორიც, ვთქვათ, შარშან? მოდ...გავიხსენოთ. ჩვენმა ნაკრებმა ...ინტერესოდ ითამაშა მსოფლიო ...მპიონატზე, შემდეგ — საფრან...თში, ევროპის ჩემპიონატის შესა...ჩევ მატჩში ადგილობრივ ნაკრ...თან. მოსკოვის „დინამო“, რომ...ოდინდელი სიძლიერე უკვე ...ვიწყებას მიეცა, კიევის „დინამ...ეცილებოდა ჩემპიონის ტიტუ...ორი წლის „დასვენების“ შემ...უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა ...სკოველ არმიელთა გუნდი. ...ღლესი ლიგისკენ გზა გაიკაფა „...რიამ“, რაიონული ცენტრის გუ...მა, რაც საბჭოთა ფეხბურთში ...ამდე არ მომხდარა. გაიუმჯობ...თამაშის ხარისხი თბილისის „...ნამომ“, ჩაგვისახა იმის იმედი, ...კრიზისი დაძლეულია.

უნდა ვაღიაროთ, წლევან...სეზონს ამგვარი სიურპრიზები ...შემოუთავაზებია. სსრ კავშირის ...კრებმა წარმატებით განახორც...ლა დასახული ამოცანა, გავიდა ...როპის ჩემპიონატის ფინალურ ...ეაზე, სადაც იგი 1972 წლიდან ...გვინახავს. ასევე „საქმიანი“ ...ოლიმპიური ნაკრებიც, რომელ...თავის შესარჩევ ქვეჯგუფში ...ლაზე უკეთესი პერსპექტივები ...ნდა. რა თქმა უნდა, ორივე ...რების შედეგი წარმატებად ...ჩაითვალოს, მაგრამ, თუ ობიე...ურად ვიმსჯელებთ, ამ წარმატ...ებს ველოდით, რადგანაც ისინი ...სტად გამოხატავენ ჩვენი გუნდ...ისა და მათი მეტოქეების ძალ...შეფარდებას.

ოდნავ გაკვირვებასაც არ იწ...ის ფაქტი, რომ ჩემპიონის წოდ...მოიპოვა „სპარტაკმა“. უკვე ...სეზონია, რაც გუნდი პრიზიო...შორისაა (ჩვენი ფეხბურთის ...ორიაში ეს ერთადერთი შემთ...ვაა). უფრო გასაკვირი ალბათ ...იყო, რომ 1979 წლიდან მოყო...ებული გუნდმა ვერაფრით ვერ ...დადგა ის ნაბიჯი, რაც მას „...როს“ აშორებდა. ამჯერად „სპ...ტაკმა“ თავიდანვე სერიოზულ...მოჰკიდა ხელი „საქმეს“ და და...ტკიცა, რომ წინა წლების „ჩავ...დნები“ მხოლოდ გაუგებრობ...მათი ერთგვარი დაუდევრ...ბრალი იყო. თუ სიმართლე გ...ავთ, არც არავის ეპარებოდა ეჭ...„სპარტაკის“ სიძლიერეში. ...მთელი სეზონის მანძილზე მხ...ოდ სამი მატჩი წააგო შარშან ...ევის „დინამომ“—ხუთი), მოაგრ...შარშანდელ ჩემპიონთან შედეგ...სამი ქულით მეტი და გოლებიც ...ტი გაიტანა, ვიდრე სხვა გუნდ...რა თქმა უნდა, მართალი არ ...ქნებოდით, რომ გვეთქვა, თით...



ამ დღეებში გაიმართა რესპუბ...კის საფეხბურთო ჩემპიონატის ...მოტოვებული და მორიგი ტუ...მატჩები.

I ჯგუფი

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „...დრევანი“ (წყალტუბო) 2:1. მსა...3. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ...ზაძე, ახალკაცი („ქართლი“), ...სელიძე („შადრევანი“).

უხეში თამაშისთვის გაფრ...ლეს წყალტუბოელი ი. გოგელ...

„დურუჯი“ (უვარელი) — „...გრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯ...წერეთელი (რუსთავი). გოლები: ...კაშვილი, მინდიაშვილი („დურუ...ა. ქარჩავა („სამეგრელო“).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „...ტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2. მ...ჯ თ. სადილიანი (თბილისი). გ...ები: დალაქიშვილი, უგულავა, ...ლიძე-2 („მადნეული“), სიუკაშ...(„მეტალურგი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „არმა...(მცხეთა) 4:2. მსაჯ ა. შალა...(თბილისი). გოლები: ჩიმაკაძე, ...გვასალია, ქომეთიანი-2 („კოლ...თი“), სოლოდაშვილი, იორამაშვ...(„არმაზი“).

„ოვერია“ (ხაშური) — „სულ...(ვანი) 1:0. მსაჯი ვ. შავგულიძე (...სთავი). გოლი: ღამბაშიძე („...რია“).

მსაჯთან კამათისთვის გაფრ...ლეს ვანელი რ. ტყეშელაშვილ...

...ი სიურპრიზების გარეშე

...ატაკი“ ძალზე იოლად გახდა ...ონი. გუნდში, რომელსაც ხე...ელებენ ნ. სტაროსტინი და ...ეკოვი, საინტერესო მუშაობა ...ეარეობდა: ლიდერობის და...ობლად ზუსტდებოდა ძირითა...მადგენლობა, იცდებოდნენ ...ზრდა ფეხბურთელები და, ...ეს პროცესი უმტკივნეულოდ ...ინარეობდა, ამის მიზეზი იყო ...ი არსებული დიდი მომთხო...ობის სულისკვეთება, ტრადი...ის ერთგული ვეტერანების — ...ეკოვის, ბუბნოვის, ხიდიატული...ერენკოვის, როდიონოვის ზე...ა ახალგაზრდებზე. სწორედ ...ომ შეერწყნენ გუნდს შედარე...ადვილად „ახალწვეულები“ პა...ი, შმაროვი, ბოკიი, მოსტო...ეროვი.

...ი მნიშვნელობა აქვს იმა...ს, რომ „სპარტაკი“ აქცენტს თა...ასაში თამაშზე აკეთებდა, ერ...ად თავდაჯერებული თამაშო...როგორც საკუთარ, ისე მეტო...ინდორზეც. მე ვიტყოდი, რომ ...ა ღალატობდა საკუთარი ღი...ბის გრძნობა.

...ალ ჩემპიონს საყვედურობენ ...ა-ს თასის გათამაშებაში გფრ...„ერდერთან“ წაგებისთვის — ...ო თქმა უნდა, ამ ფაქტს გუ...ად ვერ აუვლი გვერდს, მა...მ მხოლოდ ფეხბურთის თამა...თვალსაზრისითაც ვერ მიუდ...ით უმეტეს, რომ „სპარტ...პირველი შეხვედრა მოგებუ...ქონდა ანგარიშით 4:1. ისეთი ...ბა შემექმნა, თითქოს ...ბკელები იმდენად იყვნენ გა...ული საჩემპიონატო ამბებით, ...ბაკოში გამარჯვების შემდეგ ...მთავარი ამოცანა შესრულე...ად ჩათვალეს. სწორედ ამიტომ ...ომ (ისინი მაშინვე დამარ...„არარატთან“, დიდი გაჭი...მოიპოვეს ბოლო, ესოდენ ...ორი ქულა „გურიასთან“. ...ერთან“ შეხვედრაც, ჩემი ...სულიერი მოდუნების დღე...დემთხვა. აკი გამოტყდა კი...ბესკოვი, რომ მან ვერ შე...ფეხბურთელები განწყო ბრე...სერიოზულად სათამაშოდ. ...ატაკს“ რეალურ წინააღმდე...წყევდა „დნეპრი“, მაგრამ ...ელი დისტანცია არასტა...ად განვლო: დაიწყო სუსტად, ...მოინდომა ლიდერს დასწე...ოლო გადამწყვეტ მომენტ...ოდესაც „სპარტაკმა“ ზედი...ეთი გამარჯვება მოიპოვა, ...“ საამისო ძალა აღარ ეყო. ...ომ, მეორე პრიზორს „სპა...“ სტურნირო სტრატეგიით ...არადა, „დნეპრი“ აზარტუ...თამაშობდა.

...ე ადგილი „ჟალგირისმა“ დაიკავა. ფორმალურად თუ მი...ვუდგებით, ეს სიურპრიზია. სულ ...ცოტა ხნის წინ პირველი ლიგის ...ბინადარმა პირველად თავის ისტ...ორიაში დაიკავა საპრიზო ადგილი ...და ჩაება უეფა-ს თასის გათამაშება...ში. მაგრამ, არსებითად, განა „ჟა...ლგირისს“ არ ვთვლიდით პრიზი...ორობის კანდიდატად? განა არ გვე...გონა, რომ გუნდს წინა წლებშიც ...შეეძლო უფრო მაღალი საფეხუ...რის დაკავება, კარგად არ ჰქონდა შეგნებული საკუთარი ძალა?

ალბათ სწორიც იყო გუნდი თა...ვის მწვრთნელ ბ. ზელკიავიჩუსთან ...ერთად, როდესაც არ სურდა მოგ...ლენათა დაჩქარება, ელოდა იმ ...დროს, როცა წარმატების მოპოვება ...შესაძლებელი გახდებოდა ლაღი, ...ძალდაუტანებელი თამაშით. ასეც ...მოხდა. ეჭვგარეშეა, რომ გუნდმა ...დიდი შრომა გასწია ბრინჯაოს მე...დლებისკენ მიმავალ გზაზე, გარ...გნულად კი ეს გამარჯვება იოლს ...ჰგავდა. საქმე ის არის, რომ „ჟალ...გირისი“ საპრიზო ადგილისკენ მი...დიოდა სათამაშო კლასის თანდა...თან შეძენის პრინციპით, რამდენ...იმე სეზონის მანძილზე.

„ჟალგირისის“ გამოცდილება, ...ჩემი აზრით, სერიოზულ ყურად...ღებას იმსახურებს. შევადაროთ იგი ...სხვა მაგალითებს ჩემპიონატებიდან. ...არცთუ დიდი ხნის წინ უმაღლეს ...ლიგაში ბინადრობდნენ „ტავრია“, ...„ნისტრუ“, „ფაკელი“, „ყუბანი“, ...ქუთაისის „ტორპედო“, როსტოვის ...არმიელები, დღეს კი ისინი პირ...ველი და მეორე ლიგის საზღვარზე ...მერყეობენ. ოთხ წელიწადზე უკვე ...მეორედ დატოვა უმაღლესი ლიგა ...ცსკა-მ, ვერაფრით ვერ გამოიჩინა ...თავი „გურიამ“. უნებლიეთ მიდი...ხარ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს ...ფეხბურთში ძალზე ბევრი გამოჩნ...და თუნდაც ერთი წლით გმირად ...ქცევის მსურველი. მათთვის მთა...ვარია გაიკეკლუცონ, მოისმინონ ...ერთი-ორი საქებარი სიტყვა, მერე ...კი თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩე...ნილა.

ყველაფერ ამას აქვს მხოლოდ ...ადგილობრივი, კერძო მნიშვნელო...ბა, ფეხბურთს კი, საკავშირო მას...შტაბით, ამით არაფერი ემატება. ...ყველა ეს უარყოფითი მაგალითი ...კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ...რომ ვერაფერი შეცვლის კლუბებ...ში საზრიან, მოთმინებით მუშაობას, ...რომელიც მომავლისკენაა მიმართუ...ლი.

შეხედეთ, როგორ ირწეოდნენ ...უკანასკნელი სამი ჩემპიონატის ...ტალღაზე სახელოვანი და დამსახუ...რებული გუნდები. „ზენიტი“ — 6, 4, 14 ადგილები, მოსკოვის „დინა...მო“ — 14, 2, 10, თბილისის „დი...ნამო“ — 8, 5, 13. ამას ბედის ეკ...რავითარი უკუღმართობით ვერ ახ...სნით.

ჩვენს ფეხბურთს კვლავ არ ჰყო...ფნის გუნდები, რომლებიც წლიდან ...წლამდე ითამაშებენ ისე თანაბრად ...და დამაჯერებლად, როგორც „სპა...რტაკი“ და კიევის „დინამო“. სი...ტყვამ მოიტანა და სენსაცია არც ...ისაა, რომ კიევის „დინამო“, ორ ...უკანასკნელ ჩემპიონატში გამარ...ჯვებული, წელს შედარებით სუს...ტად გამოიყურება. მე მგონია, რომ ...ამ დამსახურებულმა გუნდმა ძალ...ზე ბევრი სულიერი და ნერვული ...ძალა შეალია წინა სეზონებს და ...წელს ვერ იპოვა ახალი სტიმული ...ძველებურად სათამაშოდ. ვფიქრობ, ...ეს „ტაიმ-აუტი“ დიდხანს არ გაგ...რძელდება.

რიგი გუნდებისთვის გადაულახავ ...ზღუდედ იქცა სხვისი მინდვრის ...კომპლექსი. ვთქვათ, „არარატს“ ...ჰქონდა საფუძველი ებრძოლა მე...ხუთე ადგილისთვის, რომელიც ...ევროპის ტურნირში მონაწილეობის ...უფლებას მისცემდა, მაგრამ მან ...უსტყვოდ დათმო სტუმრად ჩა...ტარებული ორივე ბოლო მატჩი, ...თუმცა წინა თამაშში, შინ, ყველა...ფერი გააკეთა „სპარტაკთან“ გამა...რჯვების მოსაპოვებლად. 13 მოგება ...აქვს „არარატს“, აქედან 12 — სა...კუთარ, „რაზდანის“ სტადიონზე. ...იმავე სტრატეგიის მიმდევრები აღ...მოჩნდნენ „ქაირათი“, „ნეფთჩი“, ...თბილისის „დინამო“. საქმე აქ ...მხოლოდ ქულები და ადგილები არ ...არის. როდესაც გუნდი მთელ იმე...დებს საკუთარ სტადიონს უკავშ...ირებს, იგი წინასწარ „აწერს ხელს“ ...სათამაშო და ნებისყოფის შეზ...ღუდულობას. ამ შემთხვევაში კი ...ძნელია ელოდო სათამაშო კლასის ...ზრდას.

სამომავლო თადარიგით დაამთა...ვრეს სეზონი „ტორპედომ“ და მინ...სკის „დინამომ“. ამ უკანასკნელმა ...გაინაღდა საერთაშორისო თამაშე...ბის კალენდარი საგაზაფხულოდ — ...თასების მფლობელთა თასის და ...შემოდგომაზე — უეფა-ს თასის, ...„ტორპედომ“ — უეფა-ს თასის გა...თამაშება, ეს ორივე გუნდი საინ...ტერესო, პერსპექტიულ, პატივმო...ყვარე კოლექტივთა რიცხვს ეკუ...თვნის.

სეზონი სიურპრიზების გარეშე. ...შეიძლება ეს მისი ღირსებაცაა, რა...დგანაც ნათლად, საქმიანად დაგ...ვანახვა მოწინავე კლუბების ძლიე...რი და სუსტი მხარეები.

ლევ ფილატოვი,
საკდენის საფეხბურთო მიმოხი...ველელი.

ფეხბურთი

უეფა-ს სანქციები

ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის სადისციპ...ლინო კომისიამ განიხილა კონტინენ...ტის საკლუბო ტურნირებში, აგრე...თვე, ევროპის ჩემპიონატის შესარ...ჩევ მატჩებში მომხდარ დარღვევა...თა საკითხი. კომისიის სხდომები ...ორი დღე მიმდინარეობდა ციურ...ხში, დაჯარიმეს როგორც ცალკეუ...ლი კლუბები, ისე ეროვნული ფე...დერაციები, დისკვალიფიკაცია მი...სცეს დამნაშავე ფეხბურთელებს. ...სამწუხაროდ, მსჯავრდებულთა შო...რის არიან სსრ კავშირის ფეხბურ...თის ფედერაცია და თბილისის „დი...ნამო“.

უეფა-ს სადისციპილინო კომისიამ ...აღნიშნა სსრ კავშირის ნაკრების ...„არაკორექტული საქციელი“ ევ...როპის ჩემპიონატის შესარჩევ მა...ტჩში გერმანიის დემოკრატიული ...რესპუბლიკის ნაკრებთან, რომელიც ...ბერლინში შედგა. ამის გამო ჩვენი ...ფედერაცია დაჯარიმეს 3.000 შვე...იცარიული ფრანკით, გარდა ამისა ...სსრ კავშირის ფედერაციამ კიდევ ...1.000 შვეიცარიული ფრანკი უნდა ...გადაიხადოს იმის გამო, რომ არა...დამაკმაყოფილებლად იყო ორგან...იზებული ჭაბუკთა გუნდების ევრ...ოპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ...სსრ კავშირისა და რუმინეთის ნა...კრებ გუნდებს შორის 28 ოქტომ...ბერს გორში.

ფეხბურთის მოყვარულებს, ალ...ბათ, ახსოვთ უეფა-ს თასის საპა...სუხო მატჩი ბუქარესტის „ვიქტო...რიასთან“, რომელიც თბილისში გა...იმართა. უხეში საქციელისთვის არ...ბიტრმა მინდვრიდან გააძევა დი...ნამოელი მ. არზიანი. კომისიის გა...დაწყვეტილებით მ. არზიანი დს...კვალიფიცირებულია 4 მატჩით. სა...სჯელი გამოიტანეს თბილისის „დი...ნამოს“ ექიმის ზ. თელიას მიმარ...თაც. როგორც უეფა-ს ინსპექტორმა ...თავის მოხსენებით წერილში აღ...ნიშნა, ბუქარესტის „ვიქტორიასთ...ან“ გამართულ პირველ მატჩში ...დინამოელთა ექიმი თვითნებურად, ...არბიტრის უნებართვოდ შეიჭრა სა...თამაშო მინდორზე და მეტოქეთა ...მიმართ აქაც არასპორტულად მოი...ქცა. ზ. თელიაც, მ. არზიანის მსგა...ვსად, დასჯილია 4 მატჩით.

უეფა-ს სადისციპილინო კომისი...ამ სხვადასხვაგვარი დარღვევისა და ...მაყურებელთა უმგვანი საქციელის...თვის დაჯარიმა ევროპის 7 ეროვ...ნული ფედერაცია და 16 კლუბი, ...ჯარიმების საერთო ჯამი 200.000 ...შვეიცარიულ ფრანკს აღემატება.

საინტერესოა, რომ ამ თანხის ...ხევარი უნდა გადაიხადოს ესპანე...თის ფედერაციამ. საქმე ისაა, რომ ...ესპანეთისა და ავსტრიის გუნდების ...ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ...მატჩში სევილიის სტადიონის ტრი...ბუნიდან მაყურებელმა ბოთლი ის...როლა, რომელიც გვერდით მსჯავ...მოხვდა. დიდი ფინანსური სანქცი...ები გამოიტანეს იუგოსლავიის ...„ცრვენა ზვეზდას“, ჰოლანდიის „ეი...ნდჰოვენის“, თურქეთის „გალათა...სარაის“, რუმინეთის „სპორტულ...ის“, ესპანეთის „რეალის“ (მადრი...დი), საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ ...მიმართ. ესპანეთის ქალაქ სან-სებ...ასტიანის „რეალმა“ 2000 შვეიცა...რიული ფრანკი უნდა გადაიხადოს ...იმის გამო, რომ კლუბის ფეხბურ...თელები არაკორექტულად იქცეო...დნენ თასების მფლობელთა თასის ...შეხვედრისას მინსკში ადგილობრივ ...დინამოელებთან.

მკაცრად დაისაჯა პორტუგალიის ...„შავიშის“ მწვრთნელი რაულ აგ...უაში. იგი არასპორტულად იქცეო...და უეფა-ს თასის შეხვედრისას ...ბუდაპეშტში ადგილობრივ „ჰონვე...დთან“ და მსაჯობით უკმაყოფილომ ...არბიტრს ტრავმა მიაყენა. რ. აგუ...აში 6 მატჩით დისკვალიფიცირებუ...ლია უეფა-ს ეგიდით ჩასატარებელ ...შეჯიბრებებში.

ირლანდიის ნაკრების წამყვანი ...ფეხბურთელის ბრეიდის მიმართ ...უეფა-მ მკაცრ სანქციებს მიმართა ...იმის გამო, რომ იგი უდიერად იქ...ცეოდა ბულგარეთის ნაკრებთან მა...ტჩში. ბრეიდი 4 ოფიციალურ მა...ტჩში ვერ გამოვა თავისი ქვეყნის ...ნაკრების ოფიციალურ შეჯიბრება...ებში (ამხანაგური შეხვედრები ამ ...შემთხვევაში მხედველობაში არ მი...იღება).

გულშემატკივართა არასპორტ...ული საქციელის გამო საგრძნობლ...ად დაზარალდა ჩრდილოეთ ირლან...დიის „ლინფილდი“. ამ კლუბის ...გულშემატკივრები იმდენად გამო...მწვევად იქცეოდნენ ნორვეგიის ...„ლილესტრიომთან“ ჩემპიონთა თა...სის მატჩში, რომ ხელს უშლიდნენ ...თამაშის ნორმალურ მსვლელობას, ...ისინი სათამაშო მინდორზე ისვრ...ოდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ ...მოხვდებოდათ.

უეფა-ს სადისციპლინო კომისიის ...დადგენილებით: „ლინფილდის“ ...სტადიონი ევროპულ ტურნირებში ...დისკვალიფიცირებულია 2 მოდუ...ენო მატჩით.

ვეტერანის ხსოვნისა

სულ ახლახან თბილისში გაიმართა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრო ზაზროევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა „შევარდენი“ (თბილისი), სადაც თავისი სიცოცხლის ბოლო 10 წლის მანძილზე მოღვაწეობდა ჩვენი გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელი.

ტურნირში მონაწილეობისათვის მიიწვიეს ორჯონიკიძის „სპარტაკის“, დუშანბეს „პამირის“, თბილისის 35-ე ექსპერიმენტული სკოლის, „ნორჩი დინამოელისა“ და „შევარდენის“ 1973 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები.

შეჯიბრება ჩატარდა ერთ წრედ, სპატიო პრიზის პირველი მფლობელი გახდა თბილისის „ნორჩი დინამოელი“ (მწვრთნელები ბ. სიჭინავა და ო. გეგეჭკორი), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ორჯონიკიძის „სპარტაკი“ (მწვრთნელები რ. ხადარცევი და ვ. გიტოვი) და თბილისის 35-ე სკოლის გუნდი (მწვრთნელები ა. ილიადი და გ. მამალაძე).

ა. ზაზროევის სახელობის თასი გამარჯვებულ გუნდს გადასცა სპორტის ოსტატმა მიხეილ პირაევმა. შეჯიბრების ორგანიზაციულად მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექციამ და საქართველოს ზოოტექ-სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორატმა.

სურათზე: ა. ზაზროევის სახელობის ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

...ს პირველობა

...“-„დინამო“-2 (თბილისი) ...ვნელა“ (თერჯოლა) 0:1. ...ალამბერიძე (თბილისი). ...ინჩალაძე („საპოვნელა“). ...ი“ (ქუთაისი) — „დინა...ბგდიდი) 3:2. მსაჯი გ. სე...ი (თბილისი). გოლები: მა...უმბურიძე, ტროიანი („იმ...ეროზია, ტიბუა („დინა...

...გადწყვეტილებაზე უკმა...ების გამოთქმისთვის გაფრ...ქუთაისელი გ. ჩიხლაძე. ...ულტურის ინსტიტუტი (თბი...„ამირანი“ (ოჩამჩირე) ...ი გ. სეფიაშვილი (თბილი...ები: შამათავა, ქობალია, ...„ამირანი“), ფარფალია, ...ფიზ. ინსტიტუტი).

...ი“ (გაგრა) — „ეგრისი“ ...) 3:3. მსაჯი მ. კობიაშვილი ...). გოლები: რაგანიანი, ბო...-2 („დინამო“), ალანია, ...2 („ეგრისი“).

...თამაშისთვის გაფრთხილ...ლი ი. სემიონოვი.

...აკი“ (ცხინვალი) — „სალ...(ბეგეჭკორი) 5:2. მსაჯი თ. ...ანიძე (თბილისი). გოლე...ევი, ბეკოევი, გ. ხუბეჭიძ...„სპარტაკი“), ლაგვილავა, ...„სალნინო“).

...“ (წალენჯიხა) — „მერცი...ბახრამაძე) 2:2. მსაჯი ვ. ხე...(თბილისი). გოლები: გ. კვა...კვარტია („სქურა“), შ. კაშია, თოფურიძე („მერცხალი“).

გაიფრთხილეს წალენჯიხელი ფეხბურთელები ვ. კვირტია და თ. კვარაცხელია. პირველი მსაჯის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილების გამოთქმის, ხოლო მეორე — უხეში თამაშისთვის. უხეში თამაშისთვის გაიფრთხილეს, აგრეთვე, მახარაძელი ჯ. კალანდაძე.

აღნიშნულ მატჩში მოხდა აღმაშფოთებელი ამბავი. წალენჯიხელი ფეხბურთელი გ. ზარქუა, რომელიც მწვრთნელმა შეცვალა, შემოვარდა მინდორზე და ფეხი ჩაარტყა მეტოქეს მკერდში. ამ საკითხზე თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ.

„სქურა“ (წალენჯიხა) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი). გოლები: ჩიკინიოვი („სქურა“), გამყრელიძე („არმაზი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: გოგიშვილი („ქართლი“), ალბოროვი (ფიზ. ინსტიტუტი).

II ჯგუფი

I ქვეჯგუფი. „ფოსტამტი“ (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 4:3, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 0:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (ყურაანი) 3:5, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:3, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყაროს) 0:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 2:1, უნივერსიტეტი (თბილისი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 3:1. თბილისის „მიონი-35“-ის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა თბილისის „სინათლე“-„ინტერნატთან“.

II ქვეჯგუფი. „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „განთიადი“ (ასპინძა) 2:2, „ავტომობილისტი“ (გორი) — „თარვანა“ (ბოგდანოვკა) 1:2, „თორი“ (ბორჯომი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 1:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 5:3, „მარაბდა“ (კოდა) — „გარისი“ (თეთრი წყაროს) 0:2. დმანისის „განთიადს“ გამარჯვება ჩაეთვალა ცხინვალის რ-ნის „ლიახვთან“.

III ქვეჯგუფი. „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:0, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:3, „ხვამლი“ (ცაგერი) — „იბერია“ (ქარელი) 2:0, „ორპირი“ (ტყიბულის რ-ნი) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 5:4, „ჩიხურა“ (საჩხერე) — ხდკ (სამტრედია) 2:2. ონის „მამისონს“ გამარჯვება ჩაეთვალა აგარის „მეშაქრესთან“.

IV ქვეჯგუფი. „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 3:2, „ნარინჯი“ (გონიო) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 1:3, „დარჩელი“ (ხუგდიდის რ-ნი) — „დინ...

იხ. მე-4 გვ.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

SEOUL 1988

— ᲝᲐᲚᲖᲔ ᲛᲔᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲝᲩᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲘᲞᲝᲕᲔᲑ. ᲐᲡᲔᲗ ᲙᲝᲠᲢᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, — ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲓᲐᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲙᲔᲠᲘ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲛ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲔᲚᲘᲐ 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡᲨᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔ.

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲠᲑᲠᲘᲝᲜᲑᲐ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1896 ᲬᲔᲚᲡ— ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲡ.

ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᯓ. Რ. ᲑᲝᲚᲐᲜᲓᲘ. ᲛᲐᲜᲕᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲒ. ᲢᲠᲐᲣᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲬᲧᲕᲘᲚᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲪ.

ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲖᲔ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ. 1920 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲢᲕᲔᲠᲞᲔᲜᲨᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘᲪ. ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ 1924 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ �პᲐᲠᲘᲖᲨᲘ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ 60 ᲬᲚᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲨᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲔᲚᲘᲐ 1988 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ, ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲛᲝᲜᲝᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲛᲓᲔᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲠᲐᲓᲘᲡ“ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲡ. ᲡᲣᲚᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ, ᲕᲘᲜ. ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲖᲔ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ ᲐᲛ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲐᲠᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲒᲘᲠᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲠᲒᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲒᲘᲠᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲕᲐᲟᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 32 ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲔᲡ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ— 32 ᲓᲐ 16 ᲬᲧᲕᲘᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲑᲘᲡᲐ.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ, ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲚᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲣᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔ